




# ხაშყრის ძიამბუ



№14 (145)

2 აპრილი, ორშაბათი,

2018 წელი

## ვნების კვირა დაიწყო

დაიწყო ვნების კვირა – დიდმარხვის ბოლო კვირა – აღდგომის დღესასწაულის დღეები, რომელსაც მართმადიდებლური ეკლესია მიიმე მარხვით აღნიშნავს ქრისტეს ვნების (ტანჯვის) მოსაგონებლად და იმ ცოდვების გამოსასყიდად, რომლებიც ადამიანს აქვს უფლის წინაშე. ეს მარხვა ქმის ნაღვლიან განწყობილებას და წუხილს იმ წამების გამო, რაც იესომ ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად გადაიტანა.



ვნების კვირის დღისას სხვა დღეებია:

- დიდი ორშაბათი – როდესაც იესომ დაწვევლა უნაყოფო ღვინო;
- დიდი სამშაბათი – როდესაც იესომ ტაძარში ახალი მოძღვრება იქადაგა;
- დიდი ოთხშაბათი – როდესაც მოწაფეებმა იესოს სერობა მოუწყვეს;
- დიდი ხუთშაბათი – როდესაც იესომ

- თვითონ გაუმართა მოციქულებს სერობა, ამხილა იუდა და დაადგინა ზიარების საიდუმლო;
- დიდი პარასკევი – როდესაც იესომ აწამეს და ჯვარს აცვეს;
- დიდი შაბათი – როდესაც იესომ დაკრძალეს.
- აღდგომა - როდესაც იესომ მკვდრეთით აღდგა.



## სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს მორიგი შეხვედრა

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში სამხარეო - საკონსულტაციო საბჭოს მორიგი შეხვედრა გაიმართა. სხდომას შიდა ქართლის გუბერნატორი, კახა სამხარაძე და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები უძღვებოდნენ. მუნიციპალიტეტის მერებმა ისაუბრეს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობაზე. „თითოეულ მუნიციპალიტეტში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები გვეგვის მიხედვით მიმდინარეობს. გასული წლების მსგავსად, მუნიციპალიტეტების პრიორიტეტს წელსაც ინფრასტრუქტურული პროექტები წარმოადგენს. ვფიქრობთ, უახლოეს წლებში ძირითად ინფრასტრუქტურულ გამოწვევებს ამოვწურავთ და რეგიონის განვითარებას უკვე სხვა მიმართულებით შევუწყობთ ხელს“ - განაცხადა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა კახა სამხარაძემ. საკონსულტაციო საბჭომ, ასევე, იმსჯელა 2018 - 2020 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხზე.

## ჩაქრეთ გვირაბის ბოლოს გამოჩენილი სინათლე, სასწრაფოდ ჩაქრეთ!

გვირაბის ბოლოს გამოჩენილ სინათლეს, როგორც წესი, სიხარული მოაქვს. სიბნელე, ზოგადად და, მიუხედავად, გვირაბში, ერთგვარად, თრგუნავს ადამიანს, რაღაც შიშის განცდებსაც უჩენს, უარყოფით ასოციაციებსაც უშეაფრებს და დადებით ემოციებსაც კლავს. აი, ამ დროს აქვს სინათლის სხივს ყველაზე დიდი ეფექტი, დანახვისთანავე რომ მოაქვს იმედი, სიხარული და კეთილის განცდა.



დაინახავ ამ სხივს და გაიწყვეტება კაცს ცუდი წარსული, გაიწყვეტება უმზობა და მხოლოდ კრიალა ცით სავსე იმედებს ეგებები. მაგრამ (ოხ, ეს „მაგრამ“), როგორც ჩანს, შეჩვევაც იცის ბნელ გვირაბში ყოფნამ. თავიდან ღიზიანდები, როგორც შეგიძლია, იბრძვი, წინააღმდეგობებს უწევს მერე კი - ხვალ, ზეგ, მომავალ თვეს, მომავალ წელს ეხვევი ყველაფერს და ფიქრობ, თუ

თავს აჯერებს, რომ ასე უფრო მშვენიერია სამყარო, ნებდები და სურვილიც აღარ გიხნდება, რამე შეცვალ.

...თვეზე მეტია დიდი ვნებათაღელვაა სურამში. შესაძლოა ვნებათაღელვის „ზომები“ ოდნავ გაჭარბებ, მაგრამ ფაქტია, სურამელთა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც, რატომღაც, მთელი სურამის სახელით მანიპულირებენ, 30-30 კაციან მიტინგებს მართავენ, ყველა ქართულ არსზე წაღმა-უკუღმა არიგებენ ინტერვიუებს და სწორედ იმ სინათლის გამოჩენას ებრძვიან, რომელიც აკერ 50 წელია (თუ მეტი არა) არ ჩანდა. ვიდრე ძირითად სათქმელს ვიტყვოდეთ, ერთი „ლირიული“ გადახვევა მინდა, გავაკეთო. წარმოიდგინეთ, ჩვენი ბაბუები

გააცოცხლა და დღევანდელ სურამში გაატარა. რას ნახავენ ისინი? აბსოლუტურად იგივე სურამს, სადაც მხოლოდ უარესობისკენაა ყველაფერი შეცვლილი. აღარ დახვდებით შუშის ქარხანა, საძირკველსაც კი ვეღარ იხილავენ ღვინის ქარხნის, ფაფუ საკონსერვო ქარხანა, მოთხრილ-მოსარკალებული პიონერთა ბანაკები, ბოსლადქცეული რკინიგზის სადგური, დაქცეული სანატორიუმები, ჯანდაცვის ობიექტები და ბავშვთა დასახლებული სხვა დაწესებულებები. ერთს იტყვიან მხოლოდ, ჩვენ 21-ე საუკუნის სურამს ველოდით და მე-19 საუკუნეში აღმოვჩნდით... მართლებიც იქნებიან! შეიძლება მე ვცდები და ეგებ ვინმემ მიმითითოს, ვინმეს ახსენდება უკანასკნელ ათწლეულებში სურამში რაიმე მნიშვნელოვანი ნაგებობა, რომელსაც თუნდაც კონტურები მაინც ექნება 21-ე საუკუნის, ან, საერთოდ, რამე აშენებული? ტყუილად იმტვრევთ თავს – მსგავსი არაფრით! მე კარგად მესმის, რომ ჩემს ქვეყანას უამრავი ისეთი გამოწვევა აქვს, რის გამოც განვითარების ის ტემპი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს უნდა, მუხრუჭდება. ისიც კარგად მესმის, რომ ისეთი სურამი, რომელიც უც ყველა სურამელი ოცნებობს, ძირითადად, კერძო ინიციატივით შესაქმნელი და ასაშენებელია, მაგრამ ინვესტიცია და სურამი ესე „შორიშორს იყვენ ერთმანეთთან, როგორც ჩუქჩის ძაღლებიანი მარხილი და „ნახას“ კოსმოსური „შატლი“. და აი, მართლაც გამოჩნდა გვირაბის ბოლოს სინათლე და პირველი ინვესტიცია, რომელიც თავის თავში ორმილიონამდე ლარის დაბანდებას ითვალისწინებს. გამოჩნდა მაგრამ(ისევ ეს „მაგრამ“), ისეთი წინააღმდეგობები ხვდება, საოცარია და ძალიან სამწუხარო.

ვიდრე, კონკრეტულად, ამ ინვესტიციის რაობაზე მოგახსენებთ, ორიოდ სიტყვით, ძალიან მოკლედ, სურამის განვითარებაზე მინდა შეგხერდე. ყველა სურამელი და არა მხოლოდ, თანხმდება და ერთიანი აზრი აქვთ, რომ სურამის განვითარების პერსპექტივა მხოლოდ ტურიზმითაა შესაძლებელი. ტურიზმია ის მასაზრდოებელი წყარო, რომელმაც სურამს ახალი სიცოცხლე უნდა მისცეს. ეს ცალსახაა. სურამში ქარხანას ან ფაბრიკას არავინ ააშენებს და, თუ სიმართლე გინდათ, ასეთი უნიკალური ჰაერის მქონე დაბაში ქარხანა არც უნდა აშენდეს. სხვათაშორის, შეცდომა და დიდი შეცდომაა იყო, როდესაც მის მიმდებარედ შუშის ქარხანა ააშენეს. კიდევ კარგი შუა სურამში არ ჩააგდეს ეს სიმახინჯე. თუმცა, მაშინ აზრს არავის ეკითხებოდნენ და მხოლოდ გვიან მიხვდნენ თავის შეცდომას, როდესაც დამწვარი თუ გამომწვარი სოდის „სურნელი“ მოეფინა ბუკამს და კაკალათხვეს. დიდი პატივი სცა სურამელს (დასასრული VI გვერდზე)



# უვიცი, სულელი, უარესი

მას შემდეგ, რაც ქართველად შევიცან თავი ჩემი და ჩემი ერის განუყოფელ ნაწილად ვიქცევი, ერთი კითხვა მაწუხებდა მუდამ: როგორ გამოვალწიეთ ოც-საუკუნოვანი ისტორიულ ქართველებში შედარებით მცირერიცხოვანმა ხალხმა მაშინ, როდესაც ჩვენზე მრავალრიცხოვანი ერები და ქვეყნები აღიგავენ ისტორიული სარბიელიდან, ან ფიზიკურად გადაშენდნენ, ან ასიმილაციის გზით გაქრა მათი სახსენებელი. ჩემი ზრდა-განვითარებისა, თუ გამოცდილების კვალობაზე, ამ ჩემთვის ერთობ მნიშვნელოვან, კითხვას სხვადასხვა პასუხს ვუძებნიდი, რაც, ერთ ხანს მაკმაყოფილებდა კიდევ. ამ კითხვის ზოგადი პასუხი თავიდანვე მქონდა, რაც დღესაც იგივე სარწმუნოა ჩემთვის, როგორც მაშინ: ღმერთს არ უნდოდა ჩენი ერის გაქრობა დიდი საკაცობრიო ოჯახიდან! „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“-ო, - აკი გვითხრა რუსთაველმა, რომელიც ღმერთის ენით გველაპარაკება, სწორედ.

მერე და მერე, ჩვენს წარსულსა და აწმყოში, ასე თუ ისე რომ გავერკვიე, ახლა იმ კითხვამ შემაწუხა, თუ რით ვიმსახურებდით „არ რის მქონე, არ რის მცოდნე“, „მტრის ვერ მცნობი, მოყვრის მგმობი“, „გარეთ მხდალი, შინ ძლიერი“ ხალხი უფლის ასეთ კეთილგანწყობას?

ახლა, როცა ჩემი ერის ისტორიიდან და თანამედროვეობიდან, წიგნებიდან და ცხოვრებიდან მიღებული გვარიანი გამოცდილების ტვირთი მაძევს მხრებზე, ასე ვფიქრობ:

ყველაზე მძიმე, ძნელდებლობის პირობებში, უზნეობის გაპარპაშებისა და ჩვენი ფიზიკური და სულიერი დაგლაზახების უამს, ჩვენში და ჩვენს შორის აუცილებლად გამოჩნდებოდნენ ხოლმე ზნეობრივი გმირები და სამშობლოს ერთგული რაინდები, რომლებიც პირველ ყოვლისა, თვითონ ინანიებდნენ თავიანთ თანამომძეთა სიგლახესა და უგნურებას და მათ ნაცვლად ეწამებოდნენ, ისე, ვით ქრისტე ეწამა ჩვენი ცოდვებისათვის.

ასეთი თავდადებული ადამიანები საზოგადოების ყველა ფენაში იყვნენ, მეფეთა და რაინდთა შორისაც, ეკლესიის წიადშიც, არისტოკრატისა და გლეხობაშიც. ისინი სხვებს კი არ სდებდნენ ცოდვა-ბრალს, თვითონ ინაწილებდნენ პასუხისმგებლობას. განა ამის მაგალითი არ არის დიდი ილია? მან ის კი არ თქვა, „ქართველისნაირი ბედნიერი განა არის სადმე ერთ“-ო, არამედ „ჩვენისთანა ბედნიერი“-ო, - თქვა და ყველა ის შეფასება გაინაწილა, რაც ამ ლექსში დიდი გულისტკივილით ჩამოაყალიბა. ეს ითქმის დავით აღმაშენებელზეც, დავით გურამიშვილზეც, გიორგი სააკაძეზეც, პატარა კახზეც, აკაკიზეც, ვაჟაზეც დღესაც არიან ასეთი ვაჟაკები, ცოტანი, მაგრამ მაინც

ცნობილი პუბლიცისტი დავით მხეიძე, ამასწინათ, ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში წერდა: თუ არა ღმერთის ნება, სხვა ფაქტორი არ არსებობს საიმისოდ, რომ საქართველო ჯერ კიდევ არსებობსო. ჩემო ბატონო დავით, შენ და შენი თანამოკალმენი რომ არსებობთ, აქა-იქ უანგარო სასულიერო და საერო საქმის მკეთებლები რომ არსებობენ, რომლებიც, ცნობილ მიზეზთა გამო, ტელეეკრანებზე არ ჩანან, ღმერთიც ამიტომ არის ქართველთათვის ჯერჯერობით კეთილმოწყალები. ეს ფაქტორიც თუ მოიშალა, როგორც ჩვენს „კეთილმოსურნე სტრატეგიულ“ მოკავშირეებს სურთ, მაშინ...

ეს შესავალი იმით დაამჯობრა, რომ ჩემი მთავარი სათქმელი ერთნაირად გასაგები (გასაგები და არა მაინცდამაინც მისადები!) იყოს მკითხველისათვის. საქმე ძირითადად ეხება რუსეთთან საქართველოს ურთიერთობასა და იმ ავადმყოფურ ანტირუსულ ისტერიას, რომელიც უკვე არა იმდენად პოლიტიკურ, რამდენადაც ფსიქიატრიულ პრობლემად იქცა აშშ-სათვის, ევროპისათვის და, რა თქმა უნდა, საქართველოსათვისაც.

ასეთი აშკარად ბინძური იდეოლოგიური ომი, რაც რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარეობს, როგორც ჩვენში, ისე აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, არა მგონია, ან ეროვნული, ან სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორებით იყოს განპირობებული. ამაზე ჯერ კიდევ ვაუბრებოდა, მაგრამ უკვე დაპარაკობენ ევროპელი, თუ ამერიკელი პოლიტოლოგები, პუბლიცისტები, ბიზნესმენები

ამ აღვირახსნილ ანტირუსულ ისტერიას თუ არც ეკონომიკური, არც სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული საფუძველი აქვს, მაშინ რა ხდება? უმიზეზოდ ხომ არაფერი ხდება და ეს უბედურება რატომ დაატყდათ ხალხებს თავზე? როგორ მოხდა, რომ კაცს მამა დავიწყებია და მამინაცვლის მშეს ფიცულობს, დვიდლ მძაზე კი მოსაკლავად მიიწვეს?

როგორი რეალისტი და მატერიალისტიც გინდა იყავი, თუ სრულ ჭკუაზე ხარ და სადი ანალიზის უნარი გაქვს, არ შეიძლება არ ირწმუნო, რომ დღეს კაცობრიობა ბოროტებისა და სიკეთის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოწმეა.

ბოროტი ძალები აშკარად, ნიღბის გარეშე გამოვიდნენ დღის სინათლეზე ბრძოლისათვის შემართულები. ეს თუ ასე არ არის, აბა, რა არის ყოველდღიურობად ქცეული დაუნდობელი ტერორიზმი? თანაც, ცალკეული ტერორისტების მოქმედებები კი არა, რაც შეიძლებოდა ამა თუ იმ სუბიექტის ფსიქიკური გადახრის გამოვლინებად მიგვეჩინა, არა! კოლექტიურმა ტერორმა მოიცვა მსოფლიო. მეტიც! გლობალური მასშტაბის ტერორისტული სახელმწიფოც კი შეიქმნა „ისლამური სახელმწიფოს“ სახით, რომელსაც ირიბი კავშირიც კი არ აქვს ისლამთან, ისევე როგორც ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და ინკვიზიციას არ ჰქონდა კავშირი ქრისტეს მოძღვრებასთან.

„ისლამური სახელმწიფო“ და მისთანანი დაუნდობელ ფიზიკურ ტერორს ახორციელებენ – საჯაროდ, ტელეკამერების წინ თავებს კვეთენ ადამიანებს, მათ შორის ბავშვებს და მთელ მსოფლიოს უჩვენებენ, როგორც სარეკლამო შოუს; ძირფსევანად ანგრევენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, რასაც საკაცობრიო შეგნება ეფუძნება დღემდე!

იქნებ აქეთ, ქრისტიანულ სამყაროშია დათრგუნული და ფრთხვეკვილი ბოროტი ძალა? იქნებ აქეთ, აგრერიგად თამამად ვერ აცხადებს ანტიკაცობრიულ, მიზანთროპულ ზრახვებს? პირიქით! აქეთ უარესი ხდება!

შორს რომ არ წავიდეთ, ანტიკაცობრიულმა, სატანისტურმა ძალებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში წამოყვეს თავი და შავი ჭირივით მოედნენ ევროპას ცნობილი ღოზუნგებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ „ძირს სირცხვილი!“ „ღმერთის რწმენა სიბნელეა!“ „რელიგია ოპიუმი ხალხისათვის!“ „ძირს ღმერთი და ეკლესია!“ „ძირს ოჯახი, გაუმარჯოს თავისუფალ სიყვარულს!“ რაც მთავარია, წინა პლანზე წამოვიდა ყველა დროის ყველაზე დემაგოგიური ღოზუნგი – „თავისუფლება, თანასწორობა!“ ამ ღოზუნგმა – თანასწორობისა და თავისუფლების დაპირებამ, ნარკოტიკივით იმოქმედა ხალხზე და ერთბაშად გამოათავებინა იგი, რადგან, როგორც წესი, უკმაყოფილო ადამიანები არასოდეს უსვამენ თავის თავს კითხვას – თავისუფლება მინდა, მაგრამ რისგან, თავისუფლების მოსურნე ვარ?“ ან „ვინ ვისთან უნდა ვაათანაბრონ არისტოკრატია პროლეტარიატთან თუ პროლეტარიატი არისტოკრატიატთან?“ ჰო, და ისევეა ამ გაბრუებულმა ხალხმა და რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში

ხელისუფლება სატანისტებს ჩაუგდეს ხელში.

ოქტომბრის გადატრიალებას რუსულ რევოლუციად ნათლავენ ბოროტი ძალები და მათი სატელიტები. არა, და, ოქტომბრის რევოლუციის ლიდერებს შორის, სანთლით რომ ეძებო, ერთ რუსს ვერ იპოვნი. ავტო არის რევოლუციური რუსეთის პირველი მთავრობა, ნახეთ იქ ერთი რუსი მაინც თუ ჭაჭანებს!

ბოროტება რუსეთის ხელში ჩაგდებათ არ დაკმაყოფილებულა, იგი მსოფლიო რევოლუციით დაემუქრა კაცობრიობას! მაგრამ

სწორედ რუსეთის წიადში გამოჩნდა კაცი – „მესიის მახვილი“, რომელმაც ოცწლიან მძიმე ბრძოლაში მრავალთავიანი ურჩხული დაამარცხა და ქვეყნულში ჩააგდო, თუმცა, პარალელურად, ევროპის შუაგულში ახალი ურჩხული წამოიშარა, რომელმაც ევროპა რომ გადაუშვა თავის საზოგადო სტრუქტურაში, მერე აღმოსავლეთისაკენ დაიძრა, მაგრამ აქ უწმინდურ ძალებთან მძიმე ბრძოლებგადახდია „მესიის მახვილი“ დახვდა და თავისსავე ბუნაგში ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩააგდო ურჩხული. კაცობრიობა ნახევარი საუკუნით მაინც გადაურჩა ფიზიკურ და ზნეობრივ წარღვნას!

„მესიის მახვილი“ ფიზიკურად უკვდავი არ იყო და როცა წასვლის დრო მოუვიდა, წავიდა! ანდერძი კი დაგვიტოვა, მაგრამ მოკლეა მეხსიერება კაცისა და მისი ცდუნება ეშმაკს არ უჭირს. ჰო, და, მივიდეთ ის, რასაც XX საუკუნის დასაწყისში ქადაგებდნენ სატანისტები: არა ზნეობას! არა ოჯახს! არა ტრადიციებს! არა ერს! გარყვნილება კულტურაა! ბოზობა – ემანსიპაცია! ნარკომანია პიროვნული თავისუფლებაა!

ევროპამ უკვე გადაყლაპა ახალი კულტურის „აბი გლუკოზა“ და ახლა იქ პედარასტებს რაინდის წოდებას ანიჭებენ. ევროპულ სივრცეში ერთადერთი ქვეყანა რუსეთია, რომელიც მედგრად იცავს იმას, რითაც ადამიანი ადამიანია და არა არაპროგნოზირებადი ცხოველი. ასე გააფთრებით ამიტომ ებრძვიან რუსეთს უწმინდური ძალები ყველა ხერხითა და საშუალებით. ეს ბრძოლა სამკედრო-სასიცოცხლოა. ბოროტმა იცის, რომ სიკეთესთან მისი მარცხი ზავით კი არ დამთავრდება, არამედ ჯოჯოხეთის ცეცხლითა და გენით, სადაც ვერფლად იქცევა იგი. ამიტომ განწირულის სულისკვეთებაა მისი ახლანდელი ომი!

ამ ომში სატანა ბევრს გადაიყოლებს ცეცხლოვან უფსკრულში. გადარჩება ის, ვინც „ბილწო არ შეეკვრის ზავითა“ ჯერჯერობით კი ბილწო ბევრი შეეკრა ზავითა, ზოგი უვიციობის, ზოგი სისულელის, ზოგი თავისი ჩათლახობის გამო (შენიშვნა: ჩათლახი თურქული სიტყვაა და პირდაპირი გაგებით გაბზარულ ჭურჭელს ნიშნავს, რომელშიც სითხე არ ჩაისხმება. საზოგადოდ, არასანდოდ, ცრუ კაცზე იტყვიან ჩათლახიო).

ჩვენი ამოძირკვის მოსურნე ბოროტი ძალა სიკეთის ნიღბითა და რიტორიკით მოდის. მისი იარაღი სიცრუე და ქრთამია. ამ ყველაფერში უხვად არის გარეული ბანგი.

ბოროტმა კარგად იცის, რომ მთელ საზოგადოებას ვერც ნიღბით შეაცდენს, ვერც მოქარგული რიტორიკით მოატყუებს და ვერც ქრთამით გადმოიბირებს. ამიტომ მისი გამრყენელი ძალისხმევა საზოგადოების იმ ნაწილზეა მიმართული, რომელიც უვიციობის, სულელებისა და ჩათლახებისაგან შედგება.

უვიცი ცარიელი ქვევრივით არის: რასაც ჩასძახებ იმას ამოგძახებს. უვიცს ანალიზის უნარი არ აქვს, რადგან ანალიზი მხოლოდ გარკვეული ცოდნის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. უვიცს კი ვინ მიაშავა ეს „გარკვეული ცოდნა“, ამიტომ, ძალიანაც რომ მოინდომოს, საქმის არსში მაინც ვერ გაერკვევა, მაგრამ მან რომ ის ამოგძახოს რაც ჩასძახე, რაღაცას აუცილებლად უნდა დაჰპირდეს. ეს „რაღაცა“ აუცილებლად ის უნდა იყოს, რაც მას ახლა უნდა და არა შორეულ „ნათელ მომავალში“. ბოროტი ძალა კარგად იყენებს უვიცის ამ თვისებას: სატყუარას რომ მიანჩქებს და თან ჩასძახებს წყალი აღმა მიდისო, მიდის და მიჩაჩხახებს კიდევო, – შეკბდავლებენ კმაყოფილი უვიცები. ეს სატყუარა კი ხან დეველვირებული ოცლარიანია, ხან ერთი ტომარა ფქვილი ათ კაცზე, ხან საჭკრეტელა, საიდანაც „ნატო“ და ევროკავშირის „ედემის ბაღები“ მოსწანს.

სადაა მერე იმდენი უვიცი იმ ბოროტ ძალას რომ სჭირდებაო, – იკითხავს, ალბათ, ზოგიერთი ურწმუნო თომა. ბევრია, ჩემო თომა, ბევრი! ჩვენშიც და სხვაგანაც! მაგალითებიც მრავლად მაქვს; აქ მხოლოდ ერთს დავასახელებ, რომელიც ნათელყოფს, თუ როგორ აყვავებულა უვიცობა თანამედროვე მსოფლიოში. არ იფიქრო, საამისო მაგალითად ჩემი უწმინდური მეზობლები ზამირა და დენტორა დაგისახელოთ, ან თუნდაც ჩვენი ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც „შალახოს“ პანგების თანხლებით საზეიმოდ მოაწერა ხელი, მისი ჭკუით, რაღაც მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებას („შალახო“, ალბათ, საქართველოს პიმნის მსგავსი რამ ეგონა!). საამისო მაგალითად, სწორედ, სანიმუშოდ განვითარებული ქვეყნის, აშშ-ს მადალჩინოსანს დაგისახელებთ: აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპის საკითხებში, ვიქტორია ნუანდმა, ამ ორიოდვე წლის წინ, საჯაროდ განაცხადა: ვაფრთხილებ ლუკაშენკოსო, თუ მისი ქვეყანა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში ჩაერევა, აშშ-ს მე-7 ფლოტი ბელორუსიის საზღვრებს მიადგებაო. ასე თქვა ნამდვილად და ამ ნათქვამმა მსოფლიოს ყველა ნორმალური პრესის ფურცლები მოიარა. ამასთან დაკავშირებით, ერთი წყევლა გამოვიგონე: მანამდე არაფერი ჭამა საქართველოს შინაურმა და გარეშე მტერმა, ვიდრე მე-7 თუ რომელიმე სხვა საზღვაო ფლოტი ბელორუსიის საზღვრებს მიადგება!

ისე, გეოგრაფიის ცოდნაში VIII კლასის პროგრამით წამეცადინება არც აშშ-ს ექსპრეზიდენტებს ჯორჯ ბუშსა (უმცროსს) და ბარაკ ობამას აწყენდათ: ერთი ავსტრიასა და ავსტრალიას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს, მეორემ კი ის არ იცის, რამდენი შტატია იმ სახელმწიფოში, რომლის პრეზიდენტიც თვითონ იყო.

ამ ყველაფერზე თვითონ ამერიკის პრესა წერს, ღმერთი-რჯული, მე არაფერი მომიგონია. აბა, ასეთი ერუდიციის პოლიტელიტა რომ ეყოლება დღევანდელ მსოფლიოს სუპერსახელმწიფოს, უვიციობის როგორი ზეიმი იქნება სხვაგან, ხომ წარმოგიდგენიათ!

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის შემჩნევას, რომ სწორედ აშშ-ს მოახვიეს თავს ბოროტმა ძალებმა „ლიბერალისტული დემოკრატია“ და მისი მეშვეობით უტყვენ დანარჩენ სამყაროს. აშშ-ში კაცთან კაცისა და ქალთან ქალის ქორწინება, ან ინცესტი დიდი ხანია აღარავის უკვირს, ეს მათი ყოველდღიურობაა! ჯერჯერობით მცირე გაკვირვებას იწვევს ის, თუ როგორ იფსკენის საქორწინო რეგალიებს ახალგაზრდა (თუ ხნიერი!) ამერიკელი თავის ძაღლთან, ან კატასთან, ან ასწლოვან ჭადართან თუ მუხასთან და მერე, როგორ უტოვებს მემკვიდრეობით ათეულობით მილიონ დოლარს თავის ძაღლს, კატას, ან სულაც იმ ხეს, რომელთანაც „იქორწინა“. დღეს მყარად დამკვიდრდა უკვე ახალი ტერმინი – „ეკოსექსუალიზმი“ (ვაჟა, ჩქიმ ცოლა!).

არცოდნა არცოდნა აღარ არის უკვე! უვიციობა მძიმე ცოდვაში ჩავარდნის



მიზეზად არის ქცეული.

სულელი უვიციანად უანგარობით გამორჩეული ტიპია და ამიტომ, მის გად-  
აბირებას ქრთამი არ სჭირდება. სრულიად საკმარისია ამა თუ იმ მოვლენაში  
ბრჭყვიალა ფერებით უჩვენო ის, რაც გინდათ, რომ სულელმა დაიჯეროს და  
დაიჯერებს უთუოდ! მას ხომ ლოგიკური აზროვნების უნარი არ აქვს. ამი-  
ტომაც არის სულელი! სულელების რაოდენობა საზოგადოებაში უვიცობზე  
ნაკლები როდია და ორივე ერთად, საზოგადოების საკმაო ნაწილს შეადგენენ.

ჩათლახი ბოროტის ხელში ყველაზე  
ძლიერი იარაღია, იმიტომ, რომ მან ბევ-  
რი რამ იცის და ქრთამის სანაცვლოდ  
ყველაფერზეა წამსვლელი. მას პრინციპები არ აქვს, არც რაიმე წმინდა და  
ხელშეუხებელი! ამიტომ, მის მიმართ ბოროტი გაათმაგებულ ინტერესსა და  
სიფრთხილეს იჩენს.

სამწუხაროდ, ჩათლახობა ბოლო დროს ძალიან გაავრცელდა ჩვენში. ახლა  
ისინი უვიცობსა და სულელებზე ცოტანი როდი არიან, მაგრამ საზოგადოებაზე  
მათი გავლენა ძალიან დიდი. უვიცებისა და სულელების მოსახრებანი თუ  
მხოლოდ მათთვის არის მნიშველოვანი, ჩათლახებმა შეიძლება ბევრი ადამი-  
ანი წაიყვანონ თავიანთ ჭკუაზე, ჩათლახს შუბლზე კი არ აწერია ჩათლახი.  
საქმეში თუ არ გამოძვლავნდა მისი ჩათლახობა, ისე რას მიხვდები! ცოდნა არ  
აკლია, ხარისხები და წოდებები უხვად აქვს და გამოცდილებაც დიდი აქვს.  
ვიდრე მისი ჩათლახობა არ გამოვლენდება, საზოგადოებაში მოქცევაც უნა-  
ლოდ შეუძლია. ამიტომ სჯერათ ადამიანებს მათი. მათი ბნელი წარსულის  
ცოდნა ხომ იშვიათად აქვს ვინმეს და თუ აქვს, მის აფიშირებას ყველა კი ვერ  
ბედავს. ამიტომ არის საშიში ჩათლახი, და, საერთოდ, ჩათლახობა. საზოგადოე-  
ბის ზნეობრივ-სოციალური ეროვნია სწორედ ჩათლახობის მიზეზით ხდება. და,  
აბა, ბოროტი უკეთესს ვის მონახავს და არც ოქროს იშურებს მათთვის.

ახლა მე თუ უვიცობის, სისულელისა და ჩათლახობის კონკრეტული მაგ-  
ალითები არ დავასახელებ, ისე რატომ უნდა დამიჯეროს ვინმემ, ნეტავი? დავ-  
ასახელებ კიდევ, მაგრამ ერთ რამეს გთხოვთ, პატივცემულო მკითხველო: მე  
მაგალითებს დავასახელებ და თქვენ თვითონ განსაჯეთ, უვიცს ეკუთვნის იგი,  
სულელს თუ ჩათლახს.

მაშ, ასე:

- ერთი სუბიექტი, რომელიც თავისთავს პოლიტოლოგსა და ყოფილ დისი-  
დენტს უწოდებს, ოდესღაც თურმე ნობელის პრემიაზეც (!) ყოფილა წარდგენილი,  
ამას წინათ გაზეთში წერდა: თურქეთის იმპერია ყველაზე კეთილშობილური  
იმპერია იყო და მისი სიძლიერის პერიოდში საქართველოს სახელმწიფოე-  
ბრიობა აღმავლობას განიცდიდა. რუსეთის იმპერია რომ ბოროტების სიმ-  
ბოლოდ წარმოედგინა, იმიტომ თქვა ის, რაც თქვა!

მე ამ „პოლიტოლოგისა“ და კინაღამ ნობელიანტის ზემოაღნიშულ გამოწ-  
ათქვამს ერთი ასეთი „დალოცვა“ უნდა მივაყოლო: თურქეთმა ძლიერების  
ხენიტს XVI საუკუნეში მიაღწია და მაშინ რომ გადადგა საქართველო, ისე  
გადადგეს მისი ყველა მტერი, ძველიც და ახალიც!

- სამეცნიერო რევალიებით დახუნძლულმა ერთმა მეცნიერმა და საზოგა-  
დო მოღვაწემ ტელედებატებში მთელი საქართველოს გასაგონად განაცხა-  
და: თუ რაიმე ტერიტორიები გვაქვს დაკარგული, ყველაფერი რუსეთის მიერ  
არის წართმეული, სხვას ერთი გოჯი მიწაც არ წაურთმევიაო. იქ მყოფმა  
ერთმა წესიერმა ისტორიკოსმა მორიდებით შენიშნა: აბა, ტაო-კლარჯეთი და  
შავშეთ-ერშეთი თურქეთს ნებაყოფლობით, ფეშქაშად გადასცეს ქართველებ-  
მაო? ის მიწა-წყალი ბიზანტიისგან ერგო მემკვიდრეობით თურქეთსო, - დაბე-  
ჯითებით განუცხადა იმ საზოგადო მოღვაწემ შემკითხველს.

- ერთმა ყოფილმა და ახლანდელმა პოლიტიკოსმა, რომელიც ერთ ხანს სამ-  
ტრედიის ხელმძღვანელი იყო, გადაწყვიტა რუსეთისათვის ეკონომიკური ბლო-  
კადა გამოეცხადებინა და რუსეთში მიმავალი სატვირთო მატარებლის მთელი  
შემადგენლობა სამტრედიის სადგურში რელსებზე მიადუღებინა ხელქვეითებს.  
მისი ეს მცდელობა რუსეთს არც გაუგია, საქართველოში კი მალე არცერთი  
საწარმო აღარ მუშაობდა.

ამ პოლიტიკოსის საქციელი ერთ ანეკდოტს მაგონებს ხოლმე: ერთი ჯგეფი  
დურგალთან მივიდა და სთხოვა, თუ კაცი ხარ ერთი კარგა მსხვილი ლურსმა-

ნი ჩამარტყვე თავშიო. შენ ხომ არ შეიშალე, ეგ რამ გაფიქრებინაო, - დურგალმა,  
პარიკმახერზე ვარ ნაწყენი და მინდა თმის საკრეჭი მანქანა გავუფუჭოო.

- ერთი ქართველი პოლიტიკოსი სერიოზულად გვიყვებოდა იმას, თუ როგორ  
გააერთიანა მან ორად გაყოფილი გერმანია და ახალი ევროპის არქიტექტო-  
რის წოდება დაიმსახურა. პყვებოდა და სჯეროდა ეს ამბავი ბევრს. იმას კი არ  
ფიქრობდნენ, იმ გაჭირვებულმა ცხინვალის ვერ გააერთიანა საქართველოსთან  
და გერმანიას გააერთიანებდა!

- ქართველი პოლიტოლოგები და ე. წ.  
პოლიტიკოსები ერთ ხმაში გვიმტკიცე-  
ბენ: აშშ საქართველოს სტრატეგიული

პარტნიორიაო.

ძალაუნებურად იფიქრებს კაცი: ამათ ან „სტრატეგიული“ მნიშვნელობა არ  
იცინან, ან „პარტნიორობაზე“ არ აქვთ წარმოდგენაო.

- ერთმა ყოფილმა მებრძოლმა ათეისტმა (თსუ ათეიზმის კათედრის დო-  
ცენტმა), შემდგომში რელიგიათმცოდნემ (რელიგიათმცოდნეობის კათედრის  
პროფესორმა), ახლა კი, მგონი, ნაფიცმა პოლიტოლოგმა ახლახან გაზეთში გა-  
მოაქვეყნა ვრცელი სტატია „რა უფრო მნიშვნელოვანია: მართლმადიდებლობა  
თუ საქართველო?“

4-5 წლის ბავშვს რომ ეკითხება ქუნაში შეხვედრილი დედის მეგობარი ქალი:  
აბა, მითხარი, გენაცვალე, დედა უფრო გიყვარს თუ მამაო. იმ ქალის წასვლის  
შემდეგ გააკვირვებული ბავშვი რომ ეკითხება დედას: ის ქალი გიყვიაო? სწორედ  
ეს ეპიზოდი გამახსენა იმ ყოფილი (თუ ახლანდელი!) მებრძოლი ათეისტის  
წერილის სათაურმა.

არა მგონია, იმ ყოფილი თუ ახლანდელი ათეისტის წერილის სათაური იმ  
ტუტუცი ქალის შეკითხვასავით უმიზნოდ იყოს გასროლილი. არა! ათეისტი  
იმ წერილში იმას ამტკიცებს, რომ სარწმუნოებრივი ერთობა ზნეობრივ ღირე-  
ბულებათა ერთიანობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არაფერს ნიშ-  
ნავს და თუ მალე დავივიწყებთ ამ ურთიერთდამაკავშირებელ ფაქტორს და  
მართლმადიდებლობისადმი ერთგულებას არ გადავაყოლებთ საქართველოს,  
ძალიან კარგი იქნება.

- საქართველოს ერთ-ერთი განათლების მინისტრი თანამდებობიდან რომ  
გაათავისუფლეს, ხალხს ასე აუხსენეს: სასწავლებლად წავიდა საზღვარგარე-  
თო. (განათლების მინისტრი სასწავლებლად საზღვარგარეთ წავიდაო, კაცო!).  
იუმორი არ გეგონოთ, ასე იყო ნამდვილად. ის მოსწავლე მინისტრი, განათ-  
ლების მინისტრობამდე საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი  
მოადგილე იყო. მამაშ!

- ერთმა ფრიალცნობილმა ტიპმა, საქართველოს ყოფილი ძალიან მაღალ-  
ჩინოსნის შვილმა ტელევიზიით განაცხადა: საბჭოთა პერიოდში ყველა თა-  
ნამდებობა ხელისუფლების ნებისმიერ შტოში არაღეგტიმური იყო, რადგან  
არჩევნების გზით არავინ მოსულა ხელისუფლებაშიო.

ეს რომ 20-25 წლის ყმაწვილს ეთქვა, იტყოდი ისტორია არ იცის და რა ქნა-  
სო, მაგრამ იმ ძალიან მაღალჩინოსნის შვილი ოთხმოცი წლისაა და თავისი  
თვალით აქვს ნანახი საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა ღამის ამომრჩეველ-  
თა ასი პროცენტი მიდიოდა. არ მივიდოდა და მისი აჯობებდა!

ახლა იმას რომ გამოვეკიდო, რა სისულელებს ამბობენ ჩვენი მაღალჩინოს-  
ნები ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან, სად წავალთ! დაბალჩინოსნებზე ლაპარა-  
კიც არ ღირს.

აი, ასეთ დღეში მყოფ ქვეყანას, რა გასაკვირია, რომ მტრებსაც და მოყვარე-  
საც ოკეანისგაღმიდან უნიშნავენ და იმასაც კარნახობენ, როგორი წესითა და  
ადათით იცხოვროს.

ქვეყნის ჯანსაღი ნაწილი, ანუ ისინი, ვისაც ცოდნაც აქვს, ზნეობაც და ერუ-  
დიციაც, განუწყვეტლივ კითხულობს - „გვეშველება რამე?“

ვიდრე ამ კითხვას თავს დავანებებთ და საშველს ჩვენსავე თავში არ ვიპოვ-  
ნით, არაფერი გვეშველება!

ზურაბ ცუცქერიძე

რედაქციის მინაწერი: ბატონი ზურაბის ზოგიერთ მოსაზრებას თუ „პოსტუ-  
ლატს“ შესაძლოა რედაქცია არეთანხმებოდეს, თუმცა პატივს ვცემთ მის აზრს.

- სოფლის მეურნეობა -

## შეხვედრა ფერემერებთან

28 მარტს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სა-  
სოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ,  
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის  
საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის ხელშეწყობით, შეხვე-



დრა გამართა ხაშურის მუნიციპალიტეტის მევენახე-მეღვინე ფერ-  
მერებთან. მათ მორიგი სახელმწიფო პროგრამა გააცნეს დამსწრეთ,  
რაც გულისხმობს შემდეგ: კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში,  
სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებს გრანტის სახით გადაეცემათ  
100 ტონა ყურძნის გადამამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობა, რომ-  
ლის საერთო ღირებულებას 450 ათას ლარს შეადგენს. პროგრამაში  
მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იმ სასოფლო-სამეურნეო კო-  
ოპერატივებს, რომლებიც პროგრამაში მონაწილეობის განაცხადის  
წარდგენისას აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს: „სასოფლო-სამეურ-  
ნეო კოოპერატივის შესახებ“, საქართველოს კანონის შესაბამისად  
„მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი,  
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი წევრთა რაოდენობა შეადგენს  
არანაკლებ 20 მეპაიეს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის და  
მის მეპაიეებს საკუთრებაში გააჩნიათ არანაკლებ 20 ჰექტარი ვე-  
ნახი და საკუთრებაში გააჩნია ღვინის საწარმოსათვის განკუთ-  
ვნილი შენობა-ნაგებობა. „მონაწილე პროგრამის ფარგლებში  
მიიღებს ტექნიკურ დახმარებას, რაც გულისხმობს მოკლევადიან  
სწავლებას და კონსულტაციებს შემდეგი მიმართულებებით: ვენახ-  
ის მოვლა, ღვინის წარმოება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის  
შიდა საწარმოო ურთიერთობები და სამართლებრივი რეგულაციე-  
ბი“ - აღნიშნა შეხვედრაზე პროექტის წარმომადგენელმა ვახტანგ  
დავლაძემ. შეხვედრის მონაწილეებმა პროგრამაში ჩართვის დიდი  
სურვილი გამოთქვეს, განხორციელების შემთხვევაში კი ერთ-ერ-  
თი წინამორბედნი ვიქნებით კახეთის რაიონის შემდეგ, რომელსაც  
ასეთი მძლავრი საწარმო ექნება. შეხვედრაზე ორმა გამოცდილმა  
აგრონომმა გურამ ნოზაძემ და ალიკა დვალაშვილმა გამოთქვეს  
სურვილი სანერგე მეურნეობის ამუშავებისა. ერთი იქნება ბრილ-  
ში, მეორე კი დუმატხოვში. აღდგება ძველი სავენახე ჯიშები და,  
შესაბამისად, მსურველს აღარ მოუწევს ნერგის შესაძენად სხვა  
რაიონში წასვლა.



ამ წერილით არ მინდა, ვირს შეურაცხყოფა მივაყენო და ტვინარეულ ადამიანებს შევადარო, რადგანაც იგი არის თვინიერი და გონიერი, პატრონს ერთგულად ემსახურება, არასოდეს შეტოპავს ჭაობში, სადაც ერთჯერ უკვე ჩაეფლო.

ვირი უპრეტენზიო ცხოველია, შეცნობილი აქვს თავისი თავი და შეგუებულია იმას, რომ ვირადვე დარჩება, შინაგანი ბოღმა მაინც აწუხებს, ხანდახან წიხლსაც ისვრის, თუმცა, ნათქვამია, ვირისაგან წიხლი არ უნდა გეწიხოსო. ვირი მაინც ვირია, გინდ აქე და გინდ - აძაგე.

დამახინჯებულად მოაზროვნე ადამიანების მიმართ ხშირად იტყვიან ხოლმე: ვირის ტვინი აქვს ნაჭამი და მისგან არაფერი გეწიხოსო.

ძალიან გულსატკეპია, რომ მომრავლდნენ ვირისტვინნაჭამი და წიხლის-როლია ადამიანები, რომლებიც ებრძვიან და უმოწყალოდ ბღაღავენ იმ ადამიანურ ღირსებებს, რომლითაც ქართველი ხალხი ამაცობს და გამოირჩევა მსოფლიოში მცხოვრები სხვა ერებისაგან.

მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში ძნელად ან საერთოდ არ მოიძებნება ვირი, რომელსაც ქართველების ტოლი ჭირ-ვარამი გადაუტანია საკუთარი სარწმუნოების გამო. არც ერთი ცალკეული წამებული და წმინდანად შერაცხული პიროვნება რომ არ გაეცხენო, საკმარისია ითქვას, რომ ქართველთა ასიათასმა წინაპარმა სიკვდილი ამჯობინა წმინდანთა ხატებზე ფეხის დადგმას და ერთდროულად, ერთიმეორის თვალწინ, ჯაღათის ხელით აღესრულა.

გული მტკიავს, რომ ფეხს იკიდებს სიმახინჯესთან შემგუებლობა, წარსულისადმი და ეროვნული ტრადიციებისადმი უბატოცებულობა.

წინა წლებში გამოქვეყნებული მქონდა წერილები „სუსხიანი წიკპურტები ქართულ ტელევიზიას“, „ენამყრალი ტინგიცები“, „მე არ მინდა შეუზღუდავი დემოკრატია“, „საით მიდის ქარავანი“ და ა.შ. სადაც ვგმობდი დემოკრატიის სახელით აღვირახსნილობას და სიტყვის თავისუფლების მოტივით, ენის ტანტალ-ყრანტალს, თავში ქარშებერილ ცალკეულ პირთა ხელშეუხებლობას და ა.შ. მაგრამ ძაღლის ყეფამ ქარავანს ვერც სვლა შეაჩერებინა და ვერც გეზი შეაცვლევინა. ძაღლის ყეფა არ ესმის წინამძღოლს და ღმერთმა იცის, თავის მიმდევრებს ფონს გაიყვანს თუ უფსკრულში გადაჩეხავს.

საკუთარი თავის გამოჩენის გზა ყველამ თავისებური აირჩია. ისეთ რამეს გაიგონებ ტელეკრანებიდან, რომ თმა ყაღაყზე დაგიდგება და ფიქრობ: სად გაიზარდა, როგორ გარემოცვაში ჩამოყალიბდა მისი ცნობიერება და მსოფლმხედველობა, რამ ჩაუქროთ სირცხვილის გრძობა, რატომ მიისწრაფვიან ვირობით გამირობისაკენ? ნუთუ სახელმწიფო თავისი დუმილით და უმოქმედობით ხელს უწყობს ქვეყნის დამცველებს, რომ ხალხს გზა-კვალი აურიონ და თბიქტურად განსჯის უნარი დააკარგვიონ.

აქვე ვიტყვი, რომ ვირობა ფართო მცნებაა და იგი არ გამოიხატება ცხოვრების ერთ სფეროში თავის გამოჩენით. ვირობას შეიძლება მიადწიო შრომაში, ბრძოლაში, მეცნიერებაში, კულტურაში, ხელოვნებაში და ა.შ. ქურდებს თავისი ვირობა ჰყავთ და პოლიციელებს - თავისი.

ადრე წლებში, არსებობდა „სოციალისტური შრომის ვირობის“ საპატიო წოდება. დღემდე ვერ გამიგია, რა განსხვავებაა მშენებლობაზე სოციალისტურად დადებ აგურს აგურზე, კომუნისტურად თუ კაპიტალისტურად?

ამ სახელმწიფოსაც ვერაფერი გაუგავს აცხადებს, ბანკის საქმეებში არ ვერევი, სასამართლოს და სამართალდამცავების საქმეში არ ვერევი, კერძო საქმეებში არ ვერევი, ადგილობრივი მმართველობის საქმეებში არ ვერევი და ა.შ. რა ვქნათ, ყველაფერი თვითღინებაზე და თვითმმართველობაზე მივუშვათ? ავგიშენებია ხრუშჩოვისებური კომუნისმი და ეგ არის! გაითვალისწინეთ, რომ ქვეყნის არაჯეროვნად მართვამ მრავალ მთავრობას წაატეხა კისერი.

თავის გამოჩენას ზოგი სიკეთის და ზოგიც ბოროტების გზით ცდილობს, ზოგს ვირობა სხვისი კრიტიკა და ლანძღვა-გინება ჰგონია. ზოგს არეულო-

ბის ორგანიზება და ამით საზოგადოების ყურადღების არეალში მოქცევა და ა.შ.

თანდათანობით გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ვირობის მისაღწევად ვირობა აირჩიეს, მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ ვირობიდან ვირობამდე უსასრულოდ დიდი გზაა, ამ გზაზე დამდგარი ვირი ვირადვე დარჩება და ტაძრამდე მაინც ვერ მივა.

ვირობა ჯგუფის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელმაც კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანს მიბაძა და ღმერთს დაუწყო ჭიდილი, გადაწყვიტა, გაეკრიტიკებინა იესო ქრისტე, დაეწუნებინა მისი სავალი გზის მარშრუტი, რითაც იგი აცდებოდა გოლგოთას და ჯვარცმას.

ამ ანტიქრისტე ჟურნალისტმა ვითომ არ იცოდა, რა შედეგი მოჰყვა საფრანგეთში რელიგიურ გრძობებთან უდიერ შეხებას? მან ხომ თავისი ვირისტვინნაჭამი ენით ვენებათაღელვა გამოიწვია, რამაც უსიამოვნო შედეგებამდე მიგვიყვანა. გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა საპატიმრო ადგილებშიც კი აღმოჩნდეს, თვითონ კი ვირობად მოაქვს თავი: აი ნახეთ, მე ქრისტეზე ჭკვიანი, მისი მეგზური და დამრიგებელი ვარო...

ვაი, შენს და შენნაირების პატრონს, რომლებიც ცდილობენ მშობლიურ მიწაზე დეზორგანიზაციას და დემორალიზაციის გზაზე დააყენონ ხალხი, რომლის საფიცარი ათასწლეულების განმავლობაში იყო ენა, მამული და სარწმუნოება.

ახლა კი წადი და სასამართლოში მიხივლე შეურაცხყოფისათვის. ეს შენი ლუსტრაცია იქნება და შენი ვირისტვინნაჭამობის დადასტურებაც, თუმცა, როგორც უბილოს კბილი არ ატკივდება, ისე შენ და შენნაირებს არ შეგაწუხებთ სინდისის ქენჯნა-თქვენი მიზეზით, რომ თქვენივე თანამემამულე ციხეში აღმოჩნდეს.

რამდენიც უნდა ლანძღო ქართველობა, ის მაინც დვითისმშობლის წილხვედრი მიწის ღირსეულ შვილებად დარჩებიან უკუნისამდე. თქვენ კი იდეოლოგიური სარეველათი რომ იკვებებით, ვერავითარი მლიქვნელობით და ქვეშევრდომობით ვირობი ვერ გახდებით, რადგანაც ვირობი ხართ და ვირობად დარჩებით უკუნითი უკუნისამდე.

შეგახსენებთ, რომ ვირი საცოდავი იმიტომია, რომ მშობლებიც ვირობი ჰყავს, თვითონაც ვირია და შვილებიც ვირობი არიან.

გაკითხებით თქვენ, ქვეყნის წინსვლის ხელშემშლელელებო, დეზორგანიზატორებო, ენაწატლეკილებო, ვისი შვილები ხართ, ვინ ხართ თქვენ და ვინ არიან თქვენი შვილები/

თქვენ ალბათ წმიდა ხეზე დამყნობილი უცხოური იდეოლოგიით გაჟღენთილი კიბვლები ხართ, რომლებიც ცდილობთ გადააჯიშოთ საძირე მცენარე, მაგრამ არ გამოვივათ. დამყნობილ ადგილთან გადაგჭრიან და როგორც ფინხი თონეში, ისე ჩაიწვებით ჯოჯოხეთის ცეცხლში, წმინდა ხე და ფესვები ისეთივე დარჩებიან, როგორც იყვნენ და თავისივე ჯიშის ახალ ყლორტებს ამოიყრიან.

მოგვეცით მშვიდად ცხოვრების საშუალება, შეწყვიტეთ კინკლაობა და იფიქრეთ ქვეყნის განვითარების გზებზე. ვირობას ძაღლური ერთგულებით უფრო მიადწევთ, ვიდრე ვირულად წიხლის კვრით.

შეშვით რელიგიასთან ჭიდილს, შენდობა თხოვეთ უფალს და ილოცეთ სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის.

რევაზ გრიგალაშვილი

### ვირობი ვირობისკენ მიისწრაფიან



### შეხვედრა მეცხოველეობის დასაქმებულ ფერმერებთან

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, გერმანულ-ქართულ ფორმამ „სანო - ცხოველთა თანამედროვე კვლევა“ გამართა შეხვედრა, საქართველოს მასშტაბით მეცხოველეობის დარგში დასაქმებულ ფერმერებთან. ხელმძღვანელი - სოფიო სანოძე. შეხვედრას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები. გერმანელმა სპეციალისტებმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს მრავალწლიანი გამოცდილება თანამედროვე კვების ტექნოლოგიაში. მათ მიზანს წარმოადგენს საქართველოში ცხოველთა კვებითი დანამატების და მზა საკვების წარმოება, ჯანსაღი კვება, ცხოველთა ჯანმრთელობის დაბალანსება, მხოლოდ ჯანსაღი პროდუქტით, ყოველგვარი ქიმიკატების გარეშე, ბიოლოგიურად სუფთა დანამატებით, რომელიც ეწინააღმდეგება ყოველგვარ გენ.მოდიფიცირებას. კომპანიის წარმომადგენლებმა სურვილი გამოთქვეს, მსგავსი შეხვედრა, ხაშურის მუნიციპალიტეტშიც გამართონ.

### გაეცნენ ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის წესებს

28 მარტს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში შეხვედრა გამართა.



შეხვედრის ფარგლებში, ადგილობრივები გაეცნენ ევროკავშირის/შენგენის ზონაში/უვიზო მიმოსვლის წესებს და მიიღეს ინფორმაცია იმ რისკებზე და საფრთხეებზე, რაც დაკავშირებულია, როგორც ამ წესების დარღვევასთან, ისე ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მიღების პროცედურების არამართლზომიერად გამოყენებასთან. ინფორმაციის მიღების შემდეგ, დაისვა შეკითხვები და გაიმართა დისკუსია. შეხვედრას უძღვებოდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის წარმომადგენელი ვეკა მოდებაძე და ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ წარმომადგენელი ივანე ჩხიკვაძე. საინფორმაციო კამპანია, ევროკავშირის დელეგაციისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მხარდაჭერით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება.



# ასეთი გამოთქმა გვაქვს მე- თუნეებს, დედის შეგინება შეი- ძლება ვინმემ გაჰკაცოს, მაგრამ თიხა არაფერს გაჰკაცებსო!

მეთუნეობა ერთ-ერთი უძველესი დარგია. თიხის უძველესი ნაწარმის ნიმუშები საქართველოში ჯერ კიდევ ძვ.წ პერიოდში გვხვდება. აქტუალობა საუკუნეების მანძილზე არ დაუკარგავს, თიხის ნაკეთობები მოთხოვნილების შესაბამისად იხვეწებოდა. დღეს, მოთხოვნილებამ იკლო, იკლო მეთუნეების რაოდენობამ, თუმცა თაყვანისმცემლები დღესაც არ დაუკარგავს, ჰყავს თავისი მომხმარებლებიც. შრომაში არსებულ თიხის ნაკეთობების გასაყიდი ადგილი, ერთგვარ ცენტრად იქცა და შეუძლებელია გამგულთა უურადლება არ მიიქციოს. ბევრმა არც იცის, რომ ცხრამუხაში მცხოვრები მეთუნე, ერთ-ერთია იმათგან, რომელიც შრომის ე.წ თიხის ბაზარს თავისი ნამუშევრებით ამარაგებს. თამაზ გოგალაძეს, მაშინ ვესტუმრე, როდესაც, ახლადმოხუცილი თიხას ფორმას აძლევდა. საოცარი იყო ეს პროცესი, შენს თვალწინ იქმნება ხელოვნების ნიმუში. ვნახე, როგორ მღეროდა თიხა გამოსაწვავ ღუმელში, როგორ ღუღუნებდა დაბალ, ქართულ ხმაზე. დანარჩენზე, უკვე მეთუნე თამაზ გოგალაძეს ვესაუბრე:

—მეოთხე კლასში ვიყავი, როცა ხატვით სერიოზულად დავინტერესდი. სკოლაშიც ვხატავდი, კედლის გახეთქვს ვაფორმებდი მხატვრულად. მერვე კლასიდან მოსე თოიძის სამხატვრო სასწავლებელში გადავადრევე სწავლა, ფერმწერ-კერამიკოსის სპეციალობით. ძირითადად ტილოზე ვხატავდი, ხატვრაც შევისწავლე. დაახლოებით 25 წელია, თიხაზე დავიწყე აქტიური მუშაობა, რაც ჩემი ძირითადი პროფესია და საქმეა.

- ძირითადად, რა ნაკეთობებს აკეთებთ?

—ძირითადად, საეკლესიო ნივთებს ვაკეთებ, საყვავილებს, ქოთნებს, კეცებს,



სასანთლები გამიკეთებია, სხვადასხვა სუვენირები, ბუხრის მოსაპირკეთებელი. პატარა ჭურცი გამიკეთებია, დეკორატიული. მაგრამ დიდი ზომის დანადგარი და გამოსაწვავი ღუმელი არ მაქვს.

- სამასალე თიხა საიდან მოგაქვთ?

—მასალას ვყიდულობ. თავდაპირველად, ქსნიდან მომქონდა ლურჯი თიხა, ესაა ამოსაყვანი თიხა. თიხა მრავალგვარია, მაგალითად, ლურჯი თიხა საყ-

ვლიბა, არის ნორიოს, კასპის, მეტეხის თიხა. ყველა ნაკეთობას თავისი თიხა ჭირდება, ღობიოს ქოთანს სხვა, კეცს სხვა-უნდა გაუძლოს ტემპერატურას. ყავადანს სხვა თიხა უნდა. საეკლესიო სუვენირებზე ერთი თიხით ვმუშაობ. ამ ეტაპზე, ქართლის თიხას ვიყენებ.

- თიხის ნაკეთობებზე მოთხოვნილებამ იკლო, სხვადასხვა მიზეზების გამო, შესაბამისად, მეთუნეების რაოდენობამაც...

—მეთუნეების შეკრებაზე ვიყავი გასულ წელს, ძალიან ცოტა მეთუნეა დღეს დარჩენილი, ყველაზე პატარა ასაკის მათ შორის, მე ვიყავი. ცხრამუხაშიც რამდენიმე ვართ. ეს არაა ხელობა, ეს ხელოვნებაა. ძალიან დიდი თერაპიაა, რაც შემოსავლის გარდა, სიამოვნებასაც განიჭებს.

- შესაძლებელია ადამიანმა დღეს მეთუნეობით მატერიალურად უზრუნველყოს ოჯახი? ვინ არიან თქვენი დამკვეთები?

—აქ რომ რამდენიმე კაცი იყოს დასაქმებული, გამიჭირდებოდა, მარტო ვმუშაობ და შეკვეთების რაოდენობას და შესაბამისად, შემოსავალსაც არ ვუნივი. დამკვეთები შრომიდან არიან, რადგან შრომა, ერთგვარად თიხის ნაკეთობების

ცენტრს წარმოადგენს. აქ საქართველოს ყველა კუთხეში დამზადებული ნაკეთობებია წარმოდგენილი და თავმოყრილი. ჩემი ნამუშევრების დიდი ნაწილი შეკვეთის სახით, უკვე შრომაშია გაგზავნილი. ძირითადად, ისეთ ნივთებს ვამზადებ, რაზეცაა მოთხოვნილება ბაზარზე.

- რა გზას გადის თიხა, სანამ რაიმე ფორმას მიიღებს?

—თიხა მომაქვს, შემდეგ ვაყენებ, გუნდად ვყოფ, შემდეგ ამოყავს და ვდებ გასაშრობად, რომელსაც თავისი დრო აქვს, თუ დაგიგვიანდა, დეკორატიულ ჭრებს ვეღარ გააკეთებ. მზეზე ვერ გაიტან მაშინვე, სკდება. ბოლო პროცედურა, გამოწვა და მოხატვაა. ასეთი გამოთქმა გვაქვს მეთუნეებს, დედის შეგინება შეიძლება ვინმემ გაჰკაცოს, მაგრამ თიხა არაფერს გაჰკაცებსო-ზუსტად უნდა დაიცვა თანმიმდევრობა, წესები-ამიტომაცაა თიხაზე მუშაობა შრომატევადიც და თერაპიულიც. ერთი შეილი მყავს, ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ გააგრძელებს ჩემ გზას.

- როგორც მეთუნეს, თუ გიცნობენ ჩვენს ქალაქში?

—მე ვფიქრობ, მეტნაკლებად მიცნობენ, რადგან დიდი ხანია ამ საქმით ვარ დაკავებული და როგორც უკვე ვთქვი, მეთუნეებიც ძალიან ცოტანი დავრჩით. საყვავილე ვაზებს ვამზადებდი, რომელიც თურქეთში გაჰქონდათ, ჭიქურში იყო გაკეთებული, სხვა ტემპერატურა უნდა, მასალაც ძალიან ძნელად იშოვება და



საბაზრო ფასი, ფაქტობრივად, იგივეა. ძალიან ბევრი რამის კეთების სურვილი მაქვს, მაგრამ დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ, მირჩევენია, ის ნივთები გავაკეთო რაც უფრო გაყიდვადია.

თ. ჯავახიშვილი

## დაასუფთავეს მტკვრის სანაპირო

22 მარტს, წყლის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში, დასუფთავების აქცია მოეწყო. კამპანია „ღურჯი ნაკადულის“ ფარგლებში, სოფელ ხცისში, მდინარეების სურამულასა და მტკვრის შესართავთან არსებული ტერიტორია მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ თანამშრომლებმა დაასუფთავეს.

აქციაში პირადად იყვნენ ჩართულნი მერის მოადგილე ზურაბ ჩხიტიანი და მერის თანამშემწე მერაბ ბარბაქაძე.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დემოკრატიის მეგობრები-საქართველოს“ ინიციატივით საქართველოში 2011 წლიდან ტარდება კამპანია „ღურჯი ნაკადული“. აქცია წელსაც მწვანეთა მოძრაობის კოორდინატორების ორგანიზებით და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების აქტიური მხარდაჭერით მოეწყო.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მოუწოდებს მოქალაქეებს; პასუხისმგებლობით მოეკიდონ ეკოლოგიურ საკითხებს და არ დააბინძურონ გარემო!





(დასასრული)

თერხემა – მტკვირის ხეობიდან მომდინარე ქარის ნაკადმა, რომელმაც ეს საშინელი სურნელი ააცილა სურამს და მასში საბოლოოდ არ მოკლა კურორტის ცნება. დაუბრუნდეთ ტურიზმს. უპიველესი, რამაც იგი უნდა ააღორძინოს, კარგად განვითარებული სასტუმროების ქსელი და იდეალურად მოწყობილი ინფრასტრუქტურაა, რა აქვს აქედან დღეს სურამს? არაფერი, თუ არ ჩავთვლით კერძო საოჯახო სასტუმროებს, რომელთა კეთილმოწყობა სასურველამდე ძალიან შორსაა. ამ დროს, ინვესტორს, რომელმაც მაღალი კლასის სასტუმროს აშენება გადაწყვიტა, ასეთი წინააღმდეგობა ხვდება. რა არის მათი არგუმენტი? რატომ არიან ასეთი წინააღმდეგნი?

ჩაქრეთ გვირაბის ბოლოს გამოჩენილი სინათლე, სასწრაფოდ ჩაქრეთ!

არგუმენტი პირველი: ტყე შემოიღობება და იქ არავის აღარ შეუშვებენ. მე ვფიქრობ, ამ სისულელემდე მისულ აბსურდზე არც ღირს პასუხის გაცემა.

არგუმენტი მეორე: ტყე გაიხეება და ხეები გაიკაფება. მე პირადად ვნახე ეს პროექტი. პროექტის ავტორების დაბეჯითებით, არცერთი, ვიმეორებ: არცერთი ხე არ იჭრება. ამასაც რომ თავი დაგანებოთ, უბრალოდ, სულელი უნდა იყოს ინვესტორი, რომ ის ტოტი მოჭრას, რომელზეც ზის. სასტუმრო იქ იმიტომ შენდება, რომ ტყე და ხეებია, და ხის მოჭრა ვის ინტერესში უნდა შედიოდეს?

არგუმენტი მესამე (ეს „არგუმენტი“ ძირითადად იმ უბნის მცხოვრებლებს მოჰყავთ, სადაც ნავარაუდევია სასტუმროს მშენებლობა): თუ იქ სასტუმრო



აშენდება, მათ კლიენტი აღარ ეყოლება. ამ წინააღმდეგობების ერთ-ერთი მონაწილე ტურიზმის სპეციალისტია (ყოველშემთხვევაში) ასე იყო მითითებული სატელევიზიო სიუჟეტების ტიტრებში), ვგებ მან მაინც განუმარტოს იმ ხალხს, რომ აბსოლიტურად პირიქითაა და ბიზნესის ანაბანაა, რომ რაც მეტია ობიექტი (ამ შემთხვევაში სასტუმრო), მით მეტია კლიენტი. ამ სასტუმროს აშენებით, მათ კი არ მოაკლდებათ, არამედ გაუორმაგდებათ და გაუსამამაგდებთ კლიენტთა რიცხვი.

ახლა კი ჩვენი არგუმენტები. რას მოგვცემს იქ სასტუმროს აშენება?

1. მოწესრიგდება გზის საფარი, რომელიც დღეის მდგომარეობით მივარდნილი სოფლის გზის დონისაა არ არის;
2. ასევე მოწესრიგდება სანიადრე სისტემები. ძლიერი წვიმების დროს, ნიაღვარი პრობლემად იქცა მიმდებარედ მცხოვრებთა ოჯახებისთვის და ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრება;
3. უბანს, კონკრეტულად კი ბაიანთხევს, გადაუწყდება წყლის პრობლემა, რომელიც ასე აწუხებთ იქ მცხოვრებლებს და რასაც თავის თავზე სახელმწიფო იღებს;
4. დასაქმდება 20-30 ადამიანი, რაც ამდენი უმუშევარი სურამელისათვის მართლაც სულის მოთქმის საშუალებად იქცევა;
5. მაგალითი გახდება სხვა პოტენციური ინვესტორებისათვის, რომლებიც დაინტერესდებიან სურამში ბიზნესის კეთებით;
6. მოვიზიდავთ უცხოელ ტურისტებს, რომლებიც დღემდე თვალით არ უნახავს სურამში არავის;
7. მოწესრიგდება მთლიანად ტყე-პარკი, რომელიც ზაფხულობით „ამპურსე-

ბის“ და საოჯახო ნარჩენების ბუდედაა ქცეული და მისი ასეთი სავალალო მდგომარეობა, რატომღაც, არავის აწუხებს. მხოლოდ მაჟორიტარი დეპუტატის და ზოგჯერ სკოლის მოსწავლეების ინიციატივა რომ არა, არ ვიცი, რა ეშველებოდა ამდენ ნაგავს. გამედიმა, როდესაც ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში იქაურობა ფიროსმანის ტილოს შეადარეს. თავი დაგანებოთ იმას, რომ ფიროს-

მანს არასოდეს დაუხატავს ფიჭვები, ვეჭვობ, ასეთი დანაგვიანებული, გამხმარი გირჩებით და წყლის ჟანგის ავზებით (ათუელობით) მოფენილი გარემო ფიროსმანის ესთეტიკაში ჯდებოდეს. დიახ, იმის გარდა, რომ იქაურობა დაკრიადლება და დამსვენებელთათვის მიმზიდველი გახდება, მათთვის მოეწყობა ველობილიკები, სასეინრო პატარა გზები და შეიქმნება ის იდეალური გარემო, რომელიც სურამში ტურიზმის აღორძინების დასაწყისად იქცევა.

კიდევ შეიძლება არგუმენტების მოყვანა, თუმცა ესეც საკმარისია. წერილი დასასრულისკენ მიდის და მის ბოლოს მაგალითები მინდა მოვიყვანო, თუ რა შედეგი მოიტანა სასტუმროების ქსელის განვითარებამ და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

ბორჯომის პლატო, რომელიც თავისი უნიკალურობით ბევრად აღემატება სურამის „პლატოს“, მხოლოდ მას შემდეგ გახდა მიმზიდველი და ხალხმრავალი, როდესაც იქ ტურბაზა, სანატორიუმი და სასტუმრო აშენდა. უღამაზეს გარემოდ იქცა იქაურობა. თუმცა, დღეს აღარც ერთია, არც-მეორე და არც-მესამე. ამიტომაცაა ახლა იქაურობა მხოლოდ „ნაშთი ძველი დიდებისა“ და იავარქმინია ყველაფერი. იქვე, დაბლა, ბორჯომის პარკია. მართლაც უღამაზესი. ბორჯომელებს „ეყოთ გონება“ და წინააღმდეგობა არ გაუწევიათ პარკში ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობისათვის, რამაც უცვლელად გააორმაგა ტურისტების რაოდენობა. ახლა მეორე ხუთვარსკვლავიანიც შენდება და კვლავ ტურისტთა გაორმაგებას ელიან.

ვინც ამ სტრიქონებს კითხულობს, დარწმუნებული ვარ, მათი ორი მესამედი სიღნაღში, ადრეულ წლებში, არასოდეს ყოფილა. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორმა მესამედმა, ბოლო ხუთ წელიწადში მოინახულა ეს ქალაქი, როდესაც იქ სასტუმროების ქსელი და ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა. აღარაფერს ვამბობ უცხოელ ტურისტებზე. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სიღნაღი ან გარემოთი და მითუმეტეს, პაერთ საურამს აღემატება, ძალიან ცდება.

ამ 20-30 წლის წინ ბათუმი, როგორც საკურორტო ქალაქი, უბრალოდ არც განიხილებოდა. მისი „მაზუთიანი“ პლაჟი და მოწესრიგებული ქუჩები არ იწვევდა არავის ინტერესს. დღეს რა ხდება ბათუმში, ველას მოეხსენება და იგი უკვე მსოფლიოს საუკეთესო საკურორტო ქალაქებს შორის სახელდება.

და სვანეთი.. და გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე საკურორტო ზონები.. მოკლედ, მაგალითები დაუსრულებლად შეიძლება მოვიყვანოთ.

მოკლედ, სურამის „წინააღმდეგობის კომიტეტს“ მინდა კიდევ ერთხელ ეუთხრა: მე პატივს ვცემ მათ აზრს და ასევე მინდა, მათგანაც იგივე მოვისმინო. დაანებონ თავი მთელი სურამის სახელით საუბარს. მე ვიცი სურამელთა განწყობა და მათი აბსოლიტური უმრავლესობა მომხრეა სასტუმროს აშენების. ამ ყველაფერს ჯობია, წამოვაყენოთ ჩვენი პირობები, დავაწესოთ მკაცრი მონიტორინგი და ინვესტორს ყველა სტანდარტის და ვალდებულების შესრულება მოვთხოვოთ. ნუ გადავუდგებით პროგრესს წინ! ნუ ვიზამთ ისე, რომ ამდენი წინააღმდეგობით თავმოებურებულმა ინვესტორმა ხელი ჩაიქნოს ყველაფერზე. ეს მართლა გვირაბის ბოლოს გამოჩენილი სხივის ჩაქრობა იქნება და, დამერწმუნეთ, ეს სხივი კიდევ რამდენიმე ათეული წლები აღარ გამოჩნდება.

P.S. ამ რამდენიმე თვის წინ, მეგობარმა და თანაკლასელმა დამირეკა იაკუტიდან. წლებია იგი შორეულ ციმბირშია, ქალაქ ნერიუნგრში. ბიზნესიც აწყობილი აქვს და საკმაოდ შეძლებულიცაა. მაშინ გამოთქვა სურვილი, რომ აქტივებს გაყიდდა და სამშობლოში დაბრუნებოდა. პირველი რაც შევთავაზე, სურამში სასტუმროს მშენებლობა და ტურისტული ბიზნესის განვითარება იყო. მოეწონა იდეა და მას შემდეგ ბევრჯერ ვისაუბრეთ ამ იდეის გარშემო. ამ ორიოდ დღის წინ დამირეკა. სოციალური ქსელებით იგი სრულიადაა საქმის კურსში სურამში მიმდინარე მოვლენებზე. გაწბილებული იყო. თავს არ შეგაწყენთ მიუღი დიალოგით მისი დასასრული კი ასეთი იყო, სურამი და ტურიზმი აღარ მიხსენო, არ ყოფილა ეგ კარგი იდეა..

ესეც დაკარგული პირველი პოტენციური ინვესტორი. გოგი გოგოლაძე

სათამაშოები საბავშვო ბაღებისთვის

ბავშვებისთვის ხელსაყრელი სივრცის შექმნისთვის და მათი სწორად განვითარებისთვის, მუნიციპალიტეტის ცამეტევე საადმინისტრაციო დაწესებულება საუკეთესო ხარისხის სათამაშოებით აღიჭურვა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 13 775 ლარი დაიხარჯა.



სამზარეულოსთვის საჭირო ჭურჭელი და ინვენტარი კი საადმინისტრაციო დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანებამ, ხაშურში, ჯორჯაძის ქუჩაზე არსებულ №2 და სოფელ აღის საბავშვო ბაღებში შეიტანა. აღნიშნულისთვის 2527 ლარი გამოიყო.

ამ ეტაპისთვის გამოცხადებულია ტენდერი ჯორჯაძის ქუჩაზე არსებულ საადმინისტრაციო დაწესებულებისთვის ელექტროტექნიკის და ავეჯის შესყიდვაზე, რათა სექტემბრისთვის შენობა სათანადოდ მომზადებული დახვდეს პატარებს და მათი აღზრდა-განვითარებისთვის საუკეთესო პირობები შექმნას.

გაზეთის „ხაშურის მოამბე“ რედაქცია თანაუგრძნობს გიორგი და ირმა ჩაღუნაძეებს დედის და დედაპატილის ვალიას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია იუწყება მე-4 საჯარო სკოლის დეპუტატ-მოსილი პედაგოგის ლილი მჭედლიშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

VII საჯარო სკოლის პედაგოგები თანაუგრძნობენ დიდი რაზმად მუდლის გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.  
 E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.  
 P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.